საქართველოს კანონი

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №9, 31.03.2007, მუხ. 87) 56-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით 2018 წლის 1 სექტემბრამდე ამ კანონის 3^1 მუხლით გათვალისწინებულ ელექტრონულ სისტემასთან ერთად მოქმედებს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 12.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.016866) ამოქმედებამდე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების წესები.“.

მუხლი 2. პირებს, რომლებმაც 2018 წლის 1 იანვრიდან ამ კანონის ამოქმედებამდე არ შეასრულეს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულებაც დაკავშირებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემასთან და რომლის შესრულებისთვისაც განსაზღვრული იყო ვადა, შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად დამატებით ეძლევათ ამ კანონის ამოქმედებიდან 10 დღის ვადა.

მუხლი 3. ამ კანონის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

მუხლი 4. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

7 მარტი 2018 წ.

N2053-IIს